

Lili Metreveli, Tatia Oboladze,

ლილი მეტრეველი, თათია ობოლაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

War Discourse and Identity Search in Leo Vardiashvili's Novel

"Hard by a Great Forest"

ომის დისკურსი და იდენტობის ძიება ლეო ვარდიაშვილის რომანში

„ერთი დიდი ტყის მახლობლად“

Leo Vardiashvili's debut novel, *Hard by a Great Forest* (2024), explores the deep scars left by Georgia's recent wars, including the Tbilisi Civil War, the Abkhazia War, and the August War. Blending genres and using an experimental narrative style, the novel follows characters who face the pain of loss, displacement, and the search for belonging. Through their struggles, Vardiashvili reflects on how both individuals and societies cope with trauma – whether by suppressing memories, denying the past, or finding symbolic ways to heal. The novel offers a poignant portrayal of the lasting human cost of war and the universal need for identity and home.

Keywords: Post-war trauma, Identity and belonging, Collective and individual memory, Displacement and exile, Georgian literature

საკვანძო სიტყვები: ომისშემდგომი ტრავმა, იდენტობა და კუთვნილება, კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება, დევნილობა და გადასახლება, ქართული ლიტერატურა

ინგლისურენოვანი ქართველი მწერლის ლეო ვარდიაშვილის სადებიუტო რომანი „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ გამომცემლობა Bloomsbury-მ 2024 წელს დიდ ბრიტანეთში გამოსცა. რომანი მალევე ბესტსელერად იქცა და მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ქართულადაც. ტექსტის შესახებ არა ერთ გავლენიან ჟურნალ-გაზეთში (The Guardian, Literature reiew, The New York Times, Good Reading, Los Angeles Times, Spectator და სხვ.) დაიბეჭდა პოზიტიური გამოხმაურებები, რაც ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ქართული ლიტერატურის, ქვეყნის უახლესი ისტორიისა და კულტურის გაცნობის წარმატებულ მცდელობად უნდა შეფასდეს. ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პატარა ქვეყნების (ამ შემთხვევაში ქართული) მწერლობის პოპულარიზაციისა და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით.

ჰიბრიდული ჟანრულობით (ტექსტი აერთიანებს ისეთი ლიტერატურული ჟანრების ელემენტებს, როგორებიცაა: ლიტერატურული ზღაპარი, დეტექტივი, მითოლოგიური რომანი, საგა), ექსპერიმენტული თხრობის მანერით, ალუზიებითა და ინტერტექსტუალობით (რომანში გვხვდება ალუზიები და ჩანარები როგორც მსოფლიო კლასიკური ლიტერატურიდან: – უილიამ შექსპირის

პიესიდან „რომეო და ჯულიეტა“, არტურ კონან დოილის დეტექტიური მოთხრობიდან „შერლოკ ჰოლმსი“ და სხვ., ისე ზღაპრებიდან, რომელთა შორის უნდა გამოვარჩიოთ: ძმები გრიმების „ჰენზელი და გრეტელი“ და ფრენკ ზაუმის „ოზის ჯადოქარი“), უნივერსალური სახე-ხატებითა და მოტივებით მწერალი აღწერს დანარჩენი სამყაროსთვის შეუმჩნეველად დარჩენილი პატარა ქვეყნის ეთნოკონფლიქტებსა და ომის ტრავმებით გამოწვეულ ადამიანურ ტრაგედიებს.

თბილისის სამოქალაქო ომიდან ორი ათწლეულის შემდეგ რომანის მთავარ გმირს – საბას – საქართველოში დაკარგული მამის – ირაკლის – ძიება აბრუნებს. მას აეროპორტშივე გაუგებარი მიზეზით ართმევენ პასპორტს, რაც გმირის დაკარგული იდენტობის, უსამშობლობისა და გარემოსთან გაუცხოების – მხატვრული ილუსტრაციაა: „სასაზღვრო კონტროლის თანამშრომელმა ჩემს პასპორტში ჩახედვისთანავე წარბი აპრინხა... რაც შეიძლება მალე მიდით გამომძიებელ ქელბაქიანთან. შერჩევითი შემოწმება... პასპორტს ის დაგიბრუნებთ“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 23-24).

ჯერ კიდევ მცირეწლოვანი საბა, მამასა და ძმასთან ერთად, თბილისის სამოქალაქო ომს ლონდონში გაექცა. დანგრეულ, ნაცრისფერ, უპერსპექტივო თბილისში დარჩა ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი ეკა, რომელსაც შვილების მომავლის გადასარჩენად მსხვერპლის გაღება მოუხდა: – „სადაა ეკა? – ალბათ ათასჯერ დაგვისვამს ეს კითხვა. დედა დარჩა, რომ ჩვენ გავქვეულიყავით“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 3). ეკა წლების მანძილზე ელოდა შვილებთან შეხვედრას, ოჯახის გამთლიანების იმედს არ კარგავდნენ ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრებიც:

სათობით გვიმსჯელია, როგორ უნდა დავხვედროდით ეკას – ჯერ კიდევ მაშინ, როცა ირაკლის დაპირების გვეჯეროდა. ყველა წვრილმანი დაგვეგმილი გვექონდა: ეკა რომ შემოვიდოდა, პირველად სანდროს დაინახავდა დივანზე და იკითხავდა, საბა სად არისო? მე კი კარის უკნიდან გამოვხტებოდი და ბრახ! სიურპრიზი! მერე ... კი არ იტირებდა, მხოლოდ ფარულად შეიმშრალებდა ცრემლს დროდადრო (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 375-376).

შეხვედრა ვერ შედგა. დედის დაბრუნების უშედეგო მოლოდინი დროთა განმავლობაში იმედგაცრუებად ტრანსფორმირდა და ჩამოყალიბდა ტრავმად, რომლის გაცნობიერების პროცესს ჯერ ირაკლი, მოგვიანებით კი სანდრო და საბა თბილისში იწყებენ.

თბილისში დაბრუნება 2015 წლის 13 ივნისს მომხდარ ტრაგიკულ მოვლენას, წყალდიდობას,¹ ემთხვევა, რომელიც „ბიბლიური წარღვნის“ ალუზიის შთაბეჭდილებას გვიტოვებს. აპოკალიპტიკური გარემო (ზოოპარკიდან გამოქცეული ბინადრები, შეშინებული ხალხი, ბეჭემოტი „ბეგი“ გმირთა მოედანზე, ვეფხვი „არტიომი“ მთაწმინდაზე და ა.შ.) ერთი მხრივ, საბას შინაგან, ქაოტურ მდგომარეობას ამძაფრებს, მეორე მხრივ, კი მკითხველს გმირის ცნობიერების გარდატეხისთვის ამზადებს: „ბიბლიური მასშტაბის წყალდიდობა, ზოოპარკიდან გაქცეული ცხოველები, არეულობა, წართმეული საბუთები და დაკარგული ძმები და მამები“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 44).

თბილისში საბა, ახლადგაცნობილ ნოდართან ერთად, დეტექტიური ტექსტის პერსონაჟის მსგავსად, მიჰყვება მამისა და ძმის მიერ დატოვებულ მინიშნებებს ჯერ თბილისის ძველ უბნებში, მოგვიანებით კი საძიებო სივრცე ფართოვდება და საბა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (სვანეთი, სამაჩაბლო) ეძებს კვალს. გარდაცვლილ ნაცნობებთან წარმოსახვითი დიალოგის მეშვეობით საბა იხსენებს დავიწყებულ წარსულს. იწყება მთავარი გმირის ტრავმების გადამუშავებისა და ინდივიდუაციის რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც თან ახლავს სახლის, მამის, იდენტობის სიმბოლურ-ალუზიური ძიება.

კ. გ. იუნგის მიხედვით, ინდივიდუაციის პროცესი ცნობიერებისა და არაცნობიერის გაერთიანებას გულისხმობს, ესაა ინსტინქტური მისწრაფება მეტი გაცნობიერებულობისკენ. ინდივიდუ-

¹ მართალია, რომანში თბილისის წყალდიდობის დრო შეცვლილია, თუმცა, ისტორიული და მხატვრული დროების ასინქრონულობა მწერლის მხატვრული ჩანაფიქრია და სიმბოლურ-ალეგორიულ მნიშვნელობას ატარებს.

აციის გამოვლინებად პირველი დუალობის „მე“ და „არა-მეს“ გაჩენა წარმოგვიდგება, როგორც ერთიანი, ამოუცნობი, შერწყმული არაცნობიერი (საბას შემთხვევაში წარმოსახვითი დიალოგი წარსულის ახრდილებთან მისი დათრგუნული არაცნობიერის აქტუალიზაცია) და შემდეგ გაჩენილი ცნობიერება ახდენს ერთი მოვლენის მეორესგან დიფერენცირებას, რაც წარმოადგენს კიდევ შემეცნების, ახალი ცოდნის გაჩენის, საფუძველს.

კ.გ. იუნგი ინდივიდუაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დედისა და მამის არქეტიპებს. იმდენად, რამდენადაც მამის სახე-ხატი აერთიანებს ბიოლოგიურ და სულიერ მამას, მოძღვარს, მენტორს, წარმოგვიდგება როგორც სამყაროს შემოქმედი. კაცობრიობის მთავარ კითხვაზე: ვინ არის ღმერთი? – იუნგი პასუხობს: ღმერთი წარმოდგენათა კომპლექსია, რომელსაც არქეტიპული ბუნება აქვს და ძირითად რელიგიურ სისტემებში მამის სახე-ხატად გვევლინება (უფრო ადრინდელ რელიგიებში კი ეს დედის სახე-ხატია) (იუნგი, 2017, გვ. 517-518). დიდი დედის არქეტიპი კი ადამიანებს სულიერ და ემოციურ საზრდოს აძლევს, მას უკავშირდება ღვთაებრივი სიბრძნე – სოფია, დედაქალაქი – რომელიც თავის ბინადრებზე ისევე ზრუნავს, როგორც დედა შვილებზე, სამშობლო, ღვთისმშობელი და ა.შ. (იუნგი, 2017, გვ. 303). უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ რომანშიც მნიშვნელოვნადაა გაფართოებული მშობლის სახე-ხატის კონოტაციური ველი. დედისა და მამის არქეტიპები ტექსტში გარდაუვლად უკავშირდება მშობლიურ ქალაქს, ფესვებს, ბავშვობას.

ლეო ვარდიაშვილის რომანის წამყვან თემას საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი სამოქალაქო ომები და ეთნოკონფლიქტები, ომით გამოწვეული ტრავმები და მისი შედეგების გააზრება წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური გარდატეხები განაპირობა, რამაც, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა კულტურული და ლიტერატურული დისკურსების ცვლილებაზე. საქართველოს შემთხვევაში პოსტსაბჭოთა რთული ეკონომიკური რეალობა დაამძიმა თბილისის სამოქალაქო ომმა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეთნოკონფლიქტებმა, რომლებიც პროვოცირებული იყო საქართველოს ისტორიული მტრის – რუსეთის – მიერ, სწორედ საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატისტული ძალების მხარდაჭერამ, მათი დეფაქტო მთავრობების აღიარებამ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უგულვებელყოფამ, საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებამ – განაპირობა ქვეყნის ეროვნული ტრაგედია. საქართველო დამოუკიდებლობის პირველივე წლებში უკიდურესად მწვავე მოცემულობის (დაზინებული ქართული გენოფონდი, დაკარგული ტერიტორიები, ათასობით დევნილი ოჯახი, ტრავმირებული თაობა) წინაშე აღმოჩნდა. ომი და ომის ტრავმა იქცა ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ წამყვან დისკურსულ მოდელად, ხოლო ომის ტრავმის კულტურული/ლიტერატურული ფენომენის კვლევა ქართული მეცნიერების, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობის, მნიშვნელოვან მიზნად გაფორმდა.

„ომის დისკურსი – აფხაზეთისა თუ აგვისტოს ომის თემები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილ მოსახლეობასა თუ დარღვეულ ისტორიულ მთლიანობაზე ფიქრი, როგორც ქართველი ხალხის დიდი ტკივილის გამოხატულება, – თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს“ (რატიანი, 2011, გვ. 46). ომის დისკურსი ქართულ მწერლობაში, როგორც ი. რატიანი მიუთითებს, ორი პერსპექტივიდანაა ნაჩვენები: ერთი მხრივ, იმ მწერლების პოზიციიდან, რომლებიც თავად აღმოჩნდნენ ომის პირდაპირი მსხვერპლნი (გურამ ოდიშარია, გელა ჩქვანავა) და, მეორე მხრივ, თემა გაშუქებულია იმ ავტორების მიერ, რომლებიც მხოლოდ სულიერად იყვნენ/არიან ჩართული ამ პრობლემაში (ოთარ ჭილაძე – „სინათლის წელიწადი“, ზაზა ბურჭულაძე – „ადიბასი“, თამთა მელაშვილი „გათვლა“, თამარ ბართაია „სარდაფი გორში“, ბასა ჯანიკაშვილი „ომობანა“, თამარ ფხაკაძე „გმირი“ და სხვ. (რატიანი, 2011, გვ. 47).

ომის დისკურსის კიდევ ერთი საინტერესო პლანია ნაჩვენები ემიგრანტი მწერლების ტექსტებში, მხედველობაში გვაქვს ნინო ხარატიშვილის გერმანულენოვანი რომანი „უხილავი სინათლე“ და ლეო ვარდიაშვილის ინგლისურენოვანი რომანი „ერთი დიდი ტყის მახლობლად“. აღნიშნული ტექსტები საინტერესოა ორი თვალსაზრისით. პირველ რიგში, რომანებში ქვეყნიდან დისტანცირებული დამკვირვებლის და არა მონაწილის პერსპექტივიდან ფასდება საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი ამბები, ამავე დროს შეცვლილია სამიზნე აუდიტორია, ნარატივი ფოკუსირებულია არა ქართველ, არამედ უცხოელ მკითხველზე. ავტორის ეროვნული იდენტობისა და ტექსტში მისი პოზიციის განსაზღვრის თვალსაზრისით საგულისხმოა ლეო ვარდიაშვილის ინტერვიუ, რომელიც მან ერთ-ერთ უცხოენოვან გამოცემას (Sudney Morning Herald) მისცა: „90 პროცენტით ქართველი ვარ, როცა საქართველოში ვარ, 90 პროცენტით ბრიტანელი ვარ, როცა ბრიტანეთში ვარ, დაკარგული მაქვს 10 პროცენტი. არ ვიცი, სად წავიდა ან ვინ მომპარა“ (Steger, 2024).

კოლექტიური ტრავმის თეორიის თანახმად, კოლექტიური ტრავმა, როგორც ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციალური ფენომენი, ჩნდება დროში შეზღუდული, შოკისმომგვრელი მოვლენის შედეგად და მას განმსაზღვრელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეზე. ის არღვევს ცხოვრების ჩვეულ რიტმს, იწვევს პოსტტრავმულ სტრესს, მელანქოლიას, დეპრესიას (Alexander, 2004). შესაბამისად, რომანის ყველა პერსონაჟი (საბა, სანდრო, ირაკლი, ეკა, ნოდარი, ქეთინო, ნათია, დიმიტრი, ნინო) ომის მსხვერპლი და დაკარგული სახლის მამიებელია, დევნილია. თბილისში დარჩენილი პერსონაჟები მართალია ფიზიკურად „შინ“ არიან, თუმცა ეს „შინ“, სახლი აღარ არის ტრადიციული მნიშვნელობის მატარებელი, სივრცე, რომელშიც ადამიანი თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობს. ხოლო ემიგრანტების ომისგან ფიზიკური დისტანცირება და ერთი შეხედვით უსაფრთხო გარემო სინამდვილეში „სუროგატი“ სახლია, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს იდენტობის კრიზისს. საბა თავადაც აცნობიერებს, როცა ამბობს: „არც მე და არც სანდროს არასდროს მიგვიჩნევია ინგლისი მუდმივ ადგილსამყოფლად. ის უფრო დროებითი ბანაკი იყო უცნობი მიზნისკენ სავალ გზაზე“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 72).

ტექსტში ნაჩვენებია ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმები და მათი დაძლევის საშუალებები – უარყოფა, დავიწყება, გაქცევა, თვითგამორკვევა. პერსონაჟთა ერთი ნაწილი უარყოფის გზას ირჩევს (ნოდარი, რომელიც ცოცხლობს კონფლიქტის ზონაში დარჩელ შვილთან შეხვედრის იმედით), მეორე კი დანაკარგთან გამკლავების მიზნით ვიზუალურ ხატებს ქმნის (ქეთინო, რომელიც დაკარგული შვილის „გამოგონილ“ საფლავზე სისტემატურად დადის, ეკა, რომელიც ყოველდღიურად აკითხავს სკოლაში ემიგრანტებში წასულ შვილებს).

[ნოდარმა] მშვენივრად იცის, რომ ნათია მკვდარია. რა თქმა უნდა, იცის. მაგრამ თავს იტყუებს. თავს იტანჯავს მისი პოვნის ამო იმედით. ვერ ჩერდება. იმიტომ, რომ თუ გაჩერდება, ნათია მართლა გაქრება... თუ ქეთინო სასაფლაოზე სიარულს მოიშლის, ეს იმის აღიარება იქნება, რომ ნათია ცოცხალია და მარტოა საომარ ზონაში. მეტიც, ქეთინო ვერაფერს იღონებს მის მოსაძებნად. ამიტომაც უჭირავს თავი ისე, თითქოს მისი ქალიშვილი მკვდარი იყოს, და ერთგვარ შვებას პოულობს ამაში...

ისინი ორი საპირისპირო მხრიდან წყვეტენ ერთსა და იმავე პრობლემას და რაღაც მტკივნეულ შუალედს ეძებენ, რომელიც ზუსტად იქ მდებარეობს, სადაც ეკა დავტოვებთ. მისი ბიჭები ცოცხლები, მაგრამ მიუწვდომლები იყვნენ. ექვსი წლის განმავლობაში ტრიალებდა ამ საშინელ შუალედში (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 193-194).

ზ. ფროიდი ნაშრომში „მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი“ იკვლევს რა ტრავმებს, აცხადებს, რომ ტრავმულ მოვლენას ხანგრძლივი ეფექტი აქვს ინდივიდის ცხოვრებაზე. თავდაპირველად ინდივიდი ტრავმის საწინააღმდეგოდ ფსიქოლოგიურ ფარს აღმართავს, ყურადღების ფოკუსს ცვლის, რაც პათოლოგიური დაცვის ინსტინქტის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ზ. ფროიდმა კოლექტიურ ტრავმას „ომის ტრავმა“ უწოდა. მისი დაკვირვებით, კოლექტივის პასუხი ტრავმულ მოვ-

ლენაზე ინდივიდის მსგავსია: დეპრესია, თავდაცვა, ნევროზი. თუმცა, განსხვავებით ინდივიდუალური ტრავმისგან, კოლექტიური ტრავმის დაძლევა გაცილებით რთულია, ვინაიდან ეს ტრავმები არავის ეკუთვნის, არამედ მთელი ერის ტკივილს წარმოადგენს (ფროიდი, 2022).

რომანის ბოლოს საბა ახერხებს თვითგამორკვევის გზით (დაბრუნება ტრავმულ გარემოში და ხეტიალი ბავშობისდროინდელ სივრცეში, მსგავსი გამოცდილების მქონდე ადამიანის □ ნოდარის – თანაგრძნობა და მისი ტრაგედიის გაზიარება, წარსულის ლანდებთან წარმოსახვითი დიალოგი) კრიზისის დაძლევისა და დაკარგული იდენტობის, ცხოვრების საზრისის პოვნას: „ამბობენ, შინ დაბრუნება შეუძლებელიაო. მაგრამ იქნებ ცდებიან? იქნებ ღირს ცდა? იქნებ ცხოვრება ყოველთვის იქ გაბრუნებს, საიდანაც წასვლა არ გინდოდა?“ (ვარდიაშვილი 2024: 403-404).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვარდიაშვილი, ლეო. (2024). ერთი დიდი ტყის მახლობლად. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- იუნგი, კარლ გუსტავ. (2017). „მეტამორფოზის სიმბოლოები“ (თარგ. მ. ბადრიძე). თბილისი: „დიოგენე“.
- ფროიდი, ზიგმუნდ. (2022). მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი. თბილისი: „აქტი“.
- რატიანი, ირმა. (2011). ქართული მწერლობა და ევროპული ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- Alexander, Jeffrey. (2004). Cultural Trauma and Collective Identity, University of California Press.
- Steger, Joseph. (2024). How a young man created a novel out of yearning to go home to Georgia. Sydney Morning Herald <https://www.smh.com.au/culture/books/how-a-young-man-created-a-novel-out-of-yearning-to-go-home-to-georgia-20240205-p5f21b.html>

References:

- Alexander, Jeffrey. (2004). Cultural Trauma and Collective Identity. University of California Press.
- Iungi, K'arl Gust'av. (2017). „Met'amorpozis simboloebi“. [The Symbols of Transformation]. (targ. M. Badridze). Tbilisi: “diogene”.
- Proidi, Zigmund. (2022). Masebis psikologia da egos analizi. [Mass psychology and ego analysis]. Tbilisi: “akt'I”.
- Rat'iani, Irma. (2011). Kartuli mts'erloba da evrop'uli lit'erat'uruli p'rotsesi. [Georgian Literature and World Literary Process]. Tbilisi University Press.
- Steger, Joseph. (2024). How a young man created a novel out of yearning to go home to Georgia. Sydney Morning Herald <https://www.smh.com.au/culture/books/how-a-young-man-created-a-novel-out-of-yearning-to-go-home-to-georgia-20240205-p5f21b.html>
- Vardiashvili Leo. (2024). Erti didi t'q'is makhloblad. [Hard by a Great Forest]. Tbilisi: “Sulak'auris gamomtsemloba”.